ხაშურის მოამბე

№35 (456) 17 სექტემბერი, სამშაბათი, 2024 წელი

2024-2025 სასწავლო წელი დაიწყო

დამთავრდა საზაფხულო არდადეგები. დღეიდან, მთელ საქართველოში, საჯარო თუ კერძო სკოლებში, სასწავლო პროცესი განახლდა. ბუნებრივია, სწავლა დაიწყო ჩვენი მუნიციპალიტეტის 32 საჯარო და ერთ კერძო სკოლაში, სადაც 8 ათასამდე მოსწავლე მიუჯდება სასკოლო მერხებს, მათ შორის -600-მდე პირველკლასელი.

ხაშურელი მოსწავლეები, ტრადიციულად, ზოგადი განათლების დონით თუ სხვა მიღწევებით, მუდამ გამოირჩეოდნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით და იმედია, ეს ტრადიცია კვლავაც გაგრძელდება.

ვულოცავთ ჩვენს შესანიშნავ პედაგოგებს, მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას და წარმატებებს ვუსურვებთ ყველას!

სურათზე: #1 საჯარო სკოლის პირველკლასელები, პედაგოგი მ. თიბილაშვილი.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა უზრუნველყოფს პიროვნული, ეროვნულსახელმწიფოებრივი, პატრიოტული, ზოგადსაკაცობრიო, ზნეობრივი და მორალური ღირებულებების მქონე, ღირსეული ცხოვრებისათვის მომზადებული კონკურენტუნარიანი მოქალაქის აღზრდას, რომელსაც გაცნობიერებული ექნება ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემა და ვალდებულებები, დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს მშენებლობის არსი, მუდმივ ცვალებად გარემოში საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ადეკვატური ჩართულობის მნიშვნელობა, მდგრადი განვითარებისა და სამშვიდობო თანაცხოვრების პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად მოქმედება. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებია:

1. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე, ოჯახის, ქართული ტრადიციის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების, სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიის და კულტურის მცოდნე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და პატრიოტი მოქალაქის აღზრდა;

2. ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის შემცნობი, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების პატივისმცემელი მოქალაქის აღზრდა;

3. დემოკრატიის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების მატარებელი, მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე, ტოლერანტი, სამართლიანი მოქალაქის აღზრდა, რომელიც ამ ღირებულებებს აკავშირებს სახელმწიფოებრიობასთან, პატრიოტიზმთან და საკაცობრიო იდეალებთან;

4. ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარითა და სისტემური აკადემიური ცოდნით აღჭურვილი წიგნიერი, პროგრესულ სიახლეთა მიმღები მოქალაქის აღზრდა, რომელიც არამხოლოდ იცნობს და აღიარებს სხვათა მიღწევებს, არამედ თავადაც ქმნის ახალ ინტელექტუალურ, სულიერ თუ მატერიალურ ღირებულებებს საზოგადოების საკეთილდღეოდ;

(დასასრული V გვერდზე)

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გიორგი ამილახვარმა ხაშურის მუნიციპალიტეტში ახლად აშენებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება დაათვალიერა

მინისტრი კოლეჯის განახლებულ ინფრასტრუქტურას, ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარ დეპუტატ ზაალ დუგლაძესთან და საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრ მარიამ ლაშხთან ერთად, გაეცნო.

აღსანიშნავია, რომ პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის

გაზრდის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ხაშურის მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტანდარტების პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტომ განახორციელა. პროექტის ღირებულებამ 10 მლნ 200 ათასი ლარი შეადგინა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის კოლეჯში მოეწყო თანამედროვე ადმინისტრაციული საქმიანობის სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები, მაღალტექნოლოგიური მანქანა-დანადგარებით და ტექნიკით აღჭურვილი სახელოსნოები, კაფეტერია, ბიბლიოთეკა, სამედიცინო ოთახი, სპორტული, საკონფერენციო და სააქტო დარბაზები, რეკრეაციული შიდა და გარე ზონები. შენობა ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის.

ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების შედეგად ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები 2024 სასწავლო წელს ახალ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის შენობაში შეხვდებიან.

კოლეჯის სივრცეში განხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის და შიდა ქართლის რეგიონის საჭიროებებზე მორგებული ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები, როგორებიცაა: ელექტრობა, შედუღება, სანტექნიკური სამუშაოები, გათბობა-კონდიცირების სისტემები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ავტოტრანსპორტის სერვისი და სხვა.

ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2024 წლის 8 თვეში შესრულებული სამუშაოების ანგარიში

ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახური, როგორც მოგეხსენებათ, მუშაობს ინფრასტრუქტრული პროექტების შემუშავებაზე და ახორციელებს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგს და შეფასებას, ასევე, ობიექტის მიღება-ჩაბარების მიზნით, თითოეული ინფრასტრუქტურული პროექტის ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის ზედამხედველობას, შემოსულ კორესპონდენციებზე რეაგირებას. სამსახურში დასაქმებულია 9 მოსამსახურე, მათ შორის - 2 შტატგარეშე მოსამსახურე.

ხაშურის მუნიციპალირტეტში 2024 წლის 8 თვეში განსახორციელებული/მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები :

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულების „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საფუძველზე, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსება შეადგენს 9 882 660 ლარs (თანადაფინანსება 870 003 ლარი):

დაბა სურამში ტაბიძის ქუჩის მეორე მონაკვეთზე ასფალტო-ბეტონის გზების მოწყობა (დასრულება);

სოფელ ქინძათისა და სოფელ დუმაცხოვის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება (დასრულება);

სოფელ უწლევში მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა (მიმდინარე)

სოფელ ქვიშხეთში მე-5 და მე-8 ქუჩების გზების მოასფალტება და დაბა სურამში, იტრიაში მამათა მონასტერთან მისასვლელი საავტომობილო გზის ბეტონის საფარის მოწყობა (დასრულება);

ქალაქ ხაშურში, ახალციხის ქუჩის N6 და N50 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რაბილიტაცია (დასრულება);

დაბა სურამში, სარაჯიშვილის ქუჩის N6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რაბილიტაცია (დასრულება);

სოფელ ახალსოფელში გზის მოასფალტება (დასრულება);

სოფელ ალიდან სოფელ ნაბახტევისკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქუჩის N3, N4 და N5 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია (დასრულება);

სოფელ ტეზერში ბეტონის საფარის მოწყობა (დასრულება);

სოფელ თაგვეთში დაზიანებული გზის გასწვრივ გზის ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის (გაბიონის) მოწყობა (დასრულება);

სოფელ ქვიშხეთში მჭედლიშვილების უბანში გზის მოასფალტება (დასრულება);

სოფელ წრომში და სოფელ ზეკოტაში ასფალტო-ბეტონის გზების მოწყობა (დასრულება);

სოფელ ცხრამუხაში (მე-2 და მე-11 ქუჩები) შიდა გზების მოასფალტება (დასრულება);

ქალაქ ხაშურში ყაზბეგის ქუჩის მონაკვეთის მოასფალტება (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში შალვა დადიანის ქუჩის გზის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

დაბა სურამში ფიროსმანის ქუჩაზე (პოლიციის მიმდებარედ) სკვერის მოწყობა (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში შინდარის დასახლებაში სკვერის მოწყობა (მიმდინარე);

ქ. ხაშურში მდინარე შოლას მარცხენა სანაპიროს ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა (მიმდინარე);

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში ბუღაურის დასახლებაში გზის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულების „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საუძველზე დაფინანსება შეადგენს 2 195 000 ლარი:

სოფელ ნაბახტევში მდინარე ჭერათხევზე საავტომობილო ხიდის მოწყობა (მიმდინარე);

სოფელ სატივეში გზის დამცავი კედლის მოწყობა (მიმდინარე);

სოფელ ნაბახტევის გზის დამცავი კედლის მოწყობა (მიმდინარე);

გასულ 8 თვეში ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია 8 187 252 ლარის ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება:

ქალაქ ხაშურში, შინდარის დასახლებაში და დაბა სურამში, ბუღაურის დასახლებაში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა;

მდინარე სურამულაზე დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის მშენებლობა/რეაბილიტაცია;

სოფელ ქვიშხეთში, ლაცაბიძეების უბანში გზის დამცავი კედლის მოწყობა

დაბა სურამში გზის დამცავი კედლის მოწყობა;

სოფელ ქვიშხეთში (ჭალის უბანში) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია;

სოფელ წაღვლში სკვერის მოწყობა;

ქალაქ ხაშურში, სარაჯიშვილის ქუჩის მონაკვეთზე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია;

დაბა სურამში ცენტრალურ სტადიონზე დაზიანებული ტრიბუნების დემონტაჟის და დამცავი კედლის მოწყობა, სადრენაჟე სისტემის მოწყობა და გასახდელების რეაბილიტაცია;

დაბა სურამში, სპორტული მოედნის მიმდებარე ფერდსამაგრი კედლის მშენებლობა;

ქალაქ ხაშურში, „ზემო სერის“ ტყე-პარკის რეაბილიტაცია (მესამე ეტაპი);

დაბა სურამში შიდა საუბნო გზის (კაკალათხევის დასახლება) რეაბილიტაცია;

სოფელ ტეზერში მე-2 ქუჩის გზის (სოფელი ყიფიაანთუბანი) რეაბილიტაცია;

დაბა სურამში, ამაღლების ქუჩაზე და სოფელ ტკოცაში, სანიაღვრე არხების მოწყობა;

ქალაქ ხაშურში, შუშის ქარხნის დასახლება ბინა №13-ში მდებარე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;

ქალაქ ხაშურში, შუშის ქარხნის დასახლება, ბინა №2-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობის და ქალაქ ხაშურში, ბორჯომის ქუჩა, ბინა №46-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია;

სოფელ დიდ ფლევში გარე საჭიდაო მოედნის რეაბილიტაცია;

ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქუჩა N9-ის მიმდებარედ (მშენებარე იუსტიციის სახლი) ავტოსადგომისათვის ასფალტის საფარის მოწყობა;

სოფელ ცხრამუხაში შიდა გზების მოსფალტება (ხმალაძეების უბანი);

სოფელ ცხრამუხაში შიდა გზების მოსფალტება (ეკლესიამდე მისასვლელი გზა);

ქალაქ ხაშურის და სოფელ ზემო ოსიაურის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის დემონტაჟი;

სოფელ წაბლოვანაში და სოფელ ცედანში მისასვლელი საავტომობილო გზის მოასფალტება;

მდინარე სურამულას კალაპოტის გაწმენდა;

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქ. ხაშური მდინარე შოლას მონაკვეთი) დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლების მშენებლობა/რეაბილიტაცია;

მდინარე შოლას კალაპოტის გაწმენდა;

სოფლის მხარდაჭერის პოგრამის ფარგლებში (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულება) დაფინანსდა - 81 პროექტი, რომელთა ღირებულება შეადგენსს 904 000 ლარს (თანადაფინანსება - 700 000 ლარი). იხილეთ დანართი N1:

ასევე მიმდინარეობს

ქ. ხაშურის მე-2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;

ქ. ხაშურის N4 საჯარო სკოლის მშენებლობა;

დაბა სურამში საბავშვო ბაღის მშენებლობა;

სოფ. ცხრამუხაში საბავშვო ბაღის მშენებლობა.

გიორგი პაპიაშვილი,
ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის
სამსახურის ხელმძღვანელი

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წელს განსახორციელებელი პროექტების შესახებ ინფორმაცია - **ხაშურის მუნიციპალიტეტი**

1	ხაშური	ალი	სანიაღვრე სისტემის მოწყობა
2	ხაშური	ბრილი	სანიაღვრე არხის მოწყობა
3	ხაშური	ახალუბანი	ბეტონის გზის მოწყობა
	ხაშური	დუმაცხოვი	ბეტონის გზისმოწყობა
4	ხაშური	ზემო ამვისი	ბეტონის გზის მოწყობა
5	ხაშური	კლდისწყარო	ბეტონის საფარის მოწყობა
6	ხაშური	ცხეთიჯვარი	სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა
7	ხაშური	უწლევი	ბეტონის გზის მოწყობა
8	ხაშური	ნაბახტევი	ბეტონის საფარის მოწყობა
9	ხაშური	ქინძათი	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და მაგისტრალის მოწყობა
10	ხაშური	გომი	ძველი საწრეტი არხის რეაბილიტაცია (გაწმენდა)
11	ხაშური	ხიდისყური	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა
12	ხაშური	ვაყა	საჭიდაო მოედნის რეაბილიტაცია

	ხაშური	ქვემო აძვისი	სანიაღვრის მოწყობა
13	ხაშური	დიდი სატივე	ხიდის მოწყობა
14	ხაშური	პატარა სატივე	ლიანდაგის ქვევით გასასვლელში – გვირაბში გასასვლელი არხის გაწმენდა
15	ხაშური	აგარები	მინი სტადიონის მოწყობა
17	ხაშური	ზემო ოსიაური	შუა უბანში დასასვენებელი სკვერისა და ტრენაჟორების მოწყობა
18	ხაშური	ქვემო ოსიაური	„ბატონის ბაღის“ სკვერში 3 ერთეული ფანჩატურის მოწყობა
19	ხაშური	ახალსოფელი	სპორტული ტრენაჟორების მოწყობა
20	ხაშური	ნარუჯები	შიდა სასოფლო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა
21	ხაშური	ღუდა	სოფელში მისასვლელი გზის ერთერთ მონაკვეთზე ბეტონის საფარის მოწყობა
22	ხაშური	დიდი ბეკამი	სანიაღვრეების მოწყობა
23	ხაშური	პატარა ბეკამი	მათიაშვილების უბანში სანიაღვრის მოწყობა
24	ხაშური	ურთხვა	სკვერის განახლება
25	ხაშური	ზეკოტა	გზის დაგება ბეტონის საფარით
26	ხაშური	ბიჯნისი	სკვერის მოწყობა
27	ხაშური	დაბა სურამი	მდინარე სურამულაზე შავბოგირთან და იტრიის სკოლასთან დამცავი მოაჯირების მოწყობა
28	ხაშური	დიდი ფლევი	ატრაქციონების მოწყობა
29	ხაშური		მოსაცდელის მოწყობა
30	ხაშური	პატარა ფლევი	გარე ტრენაჟორების მოწყობა
31	ხაშური		მოსაცდელის მოწყობა
32	ხაშური	ნაცარგორა	მოსაცდელის მოწყობა
33	ხაშური		ატრაქციონების მოწყობა
34	ხაშური	ტკოცა	ატრაქციონების მოწყობა
35	ხაშური		გარე ტრენაჟორების მოწყობა
36	ხაშური	ქვიშხეთი	ბეტონის გზის დაგება (კოშკის უბანი)
	ხაშური	ტაშისკარი	მინი სტადიონის მოწყობა
37	ხაშური	მონასტერი	სანიაღვრე არხის მოწყობა
38	ხაშური	ბელლეთი	ბეტონის გზის დაგება – გაგრძელება და სანიაღვრე არხის მოწყობა
39	ხაშური	ბულბულისციხე	სასაფლაომდე მისასვლელი გზის დაბეტონება, სანიაღვრე მილხიდი 1000-იანი
40	ხაშური	სათივე	გარე განათების მოწყობა და სარეკრეაციო სივრცის მოწყობა
41	ხაშური	სარმანიშვილისკარი	ფანჩატურის მოწყობა
42	ხაშური	ტეზერი	საბავშვო გასართობი სივრცის მოწყობა – სკვეიი (კოშკის ჩიჩხირი)
43	ხაშური	ყიფიაანთუბანი	საბავშვო სკვერის მოწყობა (ქვედა უბანი)
44	ხაშური	სავანისუბანი	შიდა გზის ბეტონის საფარის მოწყობა
45	ხაშური	რუსაანთუბანი	ბეტონის გზის დაგება და ბეტონის კედლის ჩასხმა
46	ხაშური	ცხრამუხა	სკვერში ატრაქციონების შეკეთება და ახალი სკამების შეძენა
47	ხაშური	თაგვეთი	ბეტონის გზის მოწყობა
	ხაშური	რბონა	ბეტონის გზის მოწყობა
48	ხაშური	დამჩხეულა	ბეტონის გზის მოწყობა
	ხაშური	ქაშვეთი	ბეტონის გზის მოწყობა
49	ხაშური	ჯვართმუხა	ბეტონის გზის მოწყობა
50	ხაშური	კოდისწყარო	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა
51	ხაშური	ქემფერი	საბავშვო ატრაქციონისა და ფანჩატურის შემოღობვა, მისასვლელი ბილიკის მოწყობა
52	ხაშური		ფანჩატურის მოწყობა
53	ხაშური	ცოცხნარა	სანიაღვრე არხის მოწყობა
54	ხაშური	წაბლოვანა	გზის მოხრეშვა
55	ხაშური	ცედანი	შიდა საუბნო გზის მოხრეშვა
56	ხაშური	ოძისი	ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა
57	ხაშური	ცივწყარო	ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა
58	ხაშური	წაღვლი	სოფლის შიდა გზებზე ბეტონის საფარის დაგების სამუშაოების გაგრძელება
59	ხაშური	კლდისწყარო	სოფლის ცენტრში სკვერის მოწყობა
60	ხაშური	ქვემო ბროლოსანი	სანიაღვრე არხების მოწყობა
61	ხაშური	ზემო ბროლოსანი	სოფელთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის დაგება
	ხაშური	ჩორჩანა	მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოების დაწყება
62	ხაშური	წეღვერი	სოფელთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის დაგების სამუშაოების დასრულება
63	ხაშური	ტიტვინისწყარო	სოფელთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების გაგრძელება
64	ხაშური	წრომი	სკვერის მოწყობა
65	ხაშური	ახალშენი	სანიაღვრის მოწყობა
66	ხაშური	ნადარბაზევი	ბეტონის გზის დაგება
67	ხაშური	იმერლიანთკარი	შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა
	ხაშური	დიდი ყელეთი	სოფლის შიდა გზების მოხრეშვა
68	ხაშური	პატარა ყელეთი	ბეტონის საფარის დაგება
69	ხაშური	ხციისი	ზედა უბნის წყარომდე გზის მოასფალტება
70	ხაშური	მიწობი	წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა და არსებულ წყლის სისტემაზე მიერთება
71	ხაშური	კრისხევი	არსებულ მინისტადიონზე ხელოვნური საფარის მოწყობა
72	ხაშური	დიდი ხალები	ბეტონის საფარის მოწყობა – გაგრძელება
73	ხაშური	პატარა ხალები	ბეტონის საფარის მოწყობა – გაგრძელება
74	ხაშური	ღართა	ბეტონის საფარის მოწყობა – გაგრძელება
75	ხაშური	სარტყელა	სასმელი წყლის მილების რეაბილიტაცია და გზის გარკვეული მონაკვეთების მოხრეშვა
76	ხაშური	ღვრიაწყალი	ბეტონის საფარის მოწყობა – გაგრძელება

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2024წ.#19,20,21,22,23,24,25, 26,27,28,29,30,31,32,33,34)

(დასასრული)

74. ქელეხსაშვილი ალექსი მიხეილის ძე 1901 ს.დიდი დახვრეტა თხილნარა

75. ქსოვრელი გრიგოლ ანტონის ძე 1883 ხაშური - დახვრეტა;

76. ქურდაძე იპოლიტე ილიას ძე 1883 სურამი - დახვრეტა;

77. ქურდაძე სერგო მიხეილის ძე 1867 ხაშური - დახვრეტა;

78. ქურდაძე გიორგი ივანეს ძე 1894 ხაშური - დახვრეტა ;

79. შათირიშვილი გიორგი შიოს ძე 1877 ხაშური - დახვრეტა;

80. შილაკაძე გრიგოლ პეტრეს ძე 1900 ხაშური - დახვრეტა;

81. შუბითიძე არჩილ ედიშერის ძე 1906 ს.პატარა დახვრეტა ყელეთი;

82. ჩარექოვი ლევან აბგარის ძე 1910 სურამი - დახვრეტა[

83. ჩიკვაიძე გიორგი სპირიდონის ძე 1892 ხაშური - დახვრეტა ;

84. ჩიტაძე არჩილ ამბაკოს ძე 1885 ს.ქვიშხეთი საქმე გადაეცა სპეცკოლეგიას;

85. ჩიტაძე ალექსანდრე იასონის ძე 1812 სურამი - 10 წელი;

86. ჩიტიაშვილი ნიკოლოზ გლახოს ძე 1878 ს.ტეზერი - დახვრეტა;

87. ციცქიშვილი შალვა აბელის ძე 1907 ხაშური - დახვრეტა;

88. ცხოვრებაშვილი ალექსანდრე ანდრიას ძე1889 ხაშური - დახვრეტა;

89. ცხოვრებაშვილი სერგი ანდრიას ძე 1896 ხაშური - დახვრეტა;

90. წიქარიშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე 1915 ს.ნარუჯები დახვრეტა;

91. ჭიჭინაძე ალექსანდრე იოსების ძე 1916 ხაშური - 10 წელი;

92. ჭყოიძე სიმონ მიხეილის ძე 1902 ხაშური - დახვრეტა;

93. ხარებოვი იაშა სოლომონის ძე 1915 ს.თხინალა - დახვრეტა;

94. ხაჩიძე ივანე გიორგის ძე 1911 სურამი - დახვრეტა;

95. ხაჩიძე ნიკოლოზ ვასილის ძე 1887 სურამი - დახვრეტა;

96. ხაჩიძე იოსებ პავლეს ძე 1909 ს.ტაშისკარი - დახვრეტა;

97. ხაჩოევი სურენ იაკობის ძე 1908 ხაშური 10 წელი

98. ხოჯოევი მიხეილ სანდროს ძე გიორგი ივანეს ძე 1912 ს.თხილნარა - 10 წელი.

(არქივის კვალდაკვალ - ხაშური, ხელნაწერი, ინახება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, 2019, გვ.146-153).

თუ აღნიშნული სიას დავუჯერებთ, გამოდის რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში რეპრესილებული იქნა 99 კაცი. აქედან დახვრეტა მიესაჯა 64, ხოლო სხვადასხვა ვადით პატიმრობა 34 კაცს.

30-იან წლებში ქვეყანაში განხორციელებული რეპრესიების გამოძახილი ხაშურსა და მის რეგიონში ჩვენი ისტორიის ნაწილია, ამ მოვლენებმა მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონია რაიონის სახალხო მეურნეობისა და განათლების შემდგომ განვითარებაზე, რაც თვალნათლივ გამოჩნდა შემდგომ წლებში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა რეპრესიების სახელით ცნობილი მოვლენა მარტო ერთი კაცის ნების გამოვლინებად არ უნდა მიიჩნეოდეს. ქვეყნის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა უდიდეს მოვლენას, - ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შეცვლას მეორე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციით. თანაც ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის უცხო იყო კერძო საკუთრება და საფუძველი ეყრებოდა საზოგადოებრივ საკუთრებას

ამიტომ აუცილებელია ე.წ. საბჭოური რეპრესიების ღრმად შესწავლა და გააზრება, თუნდაც ერთი რაიონის მაგალითზე. ამისთვის საჭიროა სათანადო საარქივო მასალების შესწავლა, უარი უნდა ვთქვათ წინასწარ შემუშავებულ დასკვნებსა და შედეგებზე და შევეცადო შევძლოთ ობიექტური კვლევა. რაც შეეხება საგაზეთო მასალას, რომელიც ასე უხვად არის გამოყენებული წინამდებარე ვრცელ ნარკვევში, მარტო მისით საკითხის სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელია.

დასკვნის მაგიერ

1988 წლის ოქტომბერში, თბილისში, რამდენჯერმე მოვინახულე ცნობილი ქართველი მწერლისა და რევოლუციონერის დავით სულიაშვილის ოჯახი. მისმა ქალიშვილმა, - თინა სულიაშვილმა ნება დამრთო, გადამეთვალიერებინა მამის პირადი არქივი.

ჩემი ყურადღება დ. სულიაშვილისადმი დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის მიერ გაგზავნილმა ერთმა წერილმა მიიპყრო. წერილი 1924 წლის 23 მარტით არის დათარიღებული. ქვეყანაში უკვე დაწყებულია ტერორი, წინ არის ოცდაოთხი წლის აგვისტო, უფრო წინ ოცდაჩვიდმეტი... წერილი საინტერესოა ამ ტრაგიკული მოვლენების შედეგების გათვალისწინებისათვის.

სამშობლოს ბედით შეჭირვებული მიხეილ ჯავახიშვილი დავით სულიაშვილს სთხოვს დაეხმაროს ცნობილ ქართველ მრეწველთან - ხოშტარიასთან, რომ იგი როგორმე გასცლოდა საქართველოს და ბაქოში გადასულიყო სამუშაოდ.

,,ძმაო დავით!

ძალიან ვნანობ, რომ წერილი არ გაგატანე ხოშტარიასთან. ეხლა იძულებული ვარ ჩვენი ლაპარაკი გაგახსენო და დახმარება გთხოვო. რაღა სიტყვა გაგიგრძელო. მე აქ ცხოვრება არ შემიძლიან, ჩემი გასვლა საქართველოდან ჩემი მეორე დაბადება იქნება, თუ ამ საქმეში დამეხმარები, სამაგიერო მომთხოვე და მიმსახურე... გარწმუნებ, ძმაო დავით, შორს უფრო მეტს და უკეთესსაც დავწერ. ე.ი. მცირედ სარგებლობას მოვუტან ჩვენს სამშობლოს იქნება... როგორმე... ამ წყეულ ქვეყნიდან ამომიყვანო სამშვიდობოს, ერთი სიტყვით დიდი იმედი მაქვს. აქაური ამბები? არავითარი. გაზეთსაც აღარ ვკითხულობ. ყველგან სუფევს ჩვეულებრივი სიდამბლე, ჭორიკანობა. რაღაც მოლოდინი, უიმედობა, სიმშილი, სულერთიანობა და გულგრილობა. დავიშრიტეთ, დავიქანცეთ და მოვიღუნეთ, ეს არის და ეს!..“

ვფიქრობთ, ამ წერილისთვის ზედმეტია კომენტარები. დიდი მწერალი გულისტკივილით გადმოსცემს სამშობლოში შექმნილ ძალზე რთულ მდგომარეობას...

,,დავიშრიტეთ, დავიქანცეთ და მოვიღუნეთ...“ - წერს სასოწარკვეთილი მწერალი.

მართლაც!

1924 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოს ნაღები მოხადეს ერის ბედზე, მისმომავალზე დაფიქრებული, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის გულანთებულ მებრძოლთა სახით.

იგივე განსაკუთრებული სისასტიკით განმეორდება 30-იან წლებში...

ამ დროს უფრო მეტად ,,დავიშრიტეთ, დავიქანცეთ და მოვიღუნეთ...“ ამის შემდეგ სიცოცხლისაგან დაშრეტილი, დაქანცული და წელში მოღუნული ერი ხუთი ათეული წელი მიუყვებოდა გოლგოთის მძიმე გზას...

მხოლოდ 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან შემოანათებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მზე. ქართველი ერი მოზღვავებული სასიცოცხლო ენერგიითა და უკვე წელში გამართული შეუდგება ასევე მძიმე გზას - დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ მიმავალს.

თ. ლაცაბიძე

რუსუდან რამიშვილის ხსოვნის საღამო

12 სექტემბერს, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა ჩვენი თანამემამულის, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, ფილოლოგიის დოქტორის, აღმოსავლეთმცოდნის, პროფ. რუსუდან რამიშვილის ხსოვნის საღამო. საღამოს ესწრებოდნენ სტუმრები სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან:



1. მედეა (დოდო) ღლონტი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის არნოლდ ჩიქობავასსახელობისენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

2. მაია არეშიძე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი.

3. მირანდა რობაქიძე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.

4. ქეთი მეგრელიშვილი - აღმოსავლეთმცოდნე, ირანისტი, ფილოლოგიის მეცნიერებატა დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი.

რუსუდან რამიშვილი სიყვარულით გაიხსენეს მისმა მეგობრებმა, თანამშრომლებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

(დასასრული)

5. დამოუკიდებელი ცხოვრებისა და გაცნობიერებული პერსონალური გადაწყვეტილებების მისაღებად მომზადებული, მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი, მთელი ცხოვრების განმავლობაში საკუთარი შესაძლებლობების და ინტერესების სფეროების უწყვეტი განვითარების უნარის მქონე მოქალაქის აღზრდა;

6. ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, უნივერსალური ეთიკური პრინციპების მატარებელი და დამცველი პიროვნების აღზრდა;

7. ფიზიკური, შემეცნებითი, ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარების ხელშეწყობით, ინდივიდებთან და სახელმწიფო ინსტიტუციებთან კომუნიკაციის მაღალი კულტურის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება;

8. თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში 'ციფრული მოქალაქეობის' უნარის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელიც ყოველდღიურად შეძლებს ტექნოლოგიური და ციფრული მიღწევების ეფექტიან გამოყენებას საკუთარ ინტელექტუალურ, ეკონომიკურ და შემოქმედებით საქმიანობაში;

9. ეკოლოგიური ცნობიერების მქონე, გარემოზე მზრუნველი მოქალაქის აღზრდა, რომელსაც შეუძლია კლიმატის ცვლილებისგან გამოწვეულ საჭიროებებზე ადეკვატური რეაგირება და მოქმედება დაუკავშიროს პიროვნულ, ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ განვითარების რაციონალურ მიზნებს. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უმაღლესი ინტერესების შესაბამისად სკოლის მიმართ წაყენებული უმთავრესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაკვეთაა, რომ მან შექმნას ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებაზე, პიროვნულ განვითარებაზე, ოჯახის ინსტიტუციის პატივისცემაზე, საერთაშორისოდ აღიარებულ უნივერსალურ ეთიკურ პრინციპებსა და დემოკრატიულ ღირებულებებზე, ინკლუზიაზე, კეთილგანწყობაზე, მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობასა და აქტივობაზე, ხელმისაწვდომობასა და კომუნიკაციისსათანადოკულტურაზედაფუძნებულიდაორიენტირებული გარემო. საქართველოს კონსტიტუციაზე, აღიარებულ დემოკრატიულ საგანმანათლებლო-პედაგოგიკურ პრინციპებსა და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე დაყრდნობით იქმნება ყველა ის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლისთვის დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელი ამოცანების გადაწყვეტ

მუნიციპალიტეტის მერიის მიმართვა



ძვირფასო თანამოქალაქენო, როგორც იცით, ხაშურში მიმდინარეობს წყალმომარაგებისა და წყალარინების მასშტაბური პროექტი.

როგორც მოგეხსენებათ, პროექტის მასშტაბურობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, იგი გარკვეული დისკომფორტის შემცველია და გზების გადათხრა, ქუჩების გადაკეტვა, მტვერი და ხმაური პროექტის არასასიამოვნო, თუმცა განხორციელების განუყოფელი ნაწილია.

ამასთან, გაცნობებთ, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება სოციალური ქსელებით გავრცელებული ინფორმაცია წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტი განხორციელებასთან დაკავშირებულ საფრთხეებთან დაკავშირებით. პროექტის მიმდინარეობას არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

ამ ეტაპზე, პროექტის განხორციელების პარალელურად, მიმდინარეობს დაზიანებული ასფალტის საფარის მოწესრიგების დროებითი სამუშაოები და წყალარინების სისტემის ლუქების ამოცვლა.

რაც ეხება ქალაქ ხაშურის ქუჩების მოწესრიგებას, მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს პროექტირების სამუშაოები და მომავალი წლიდან ყველგან, სადაც წყალგაყვანილობისა და წყალარინების სამუშაოები დასრულდება, დაიწყება ქუჩების მოასფალტება. ყაზბეგისა და დადიანის ქუჩების მოასფალტება კი დაიწყება წელსვე, უახლოეს პერიოდში და დასრულდება მიმდინარე წლის ბოლომდე.

მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის ყველა მოქალაქეს, რომელიც გაგებით ეკიდება შექმნილ გარდაუვალ დისკომფორტს.

ხაშურში, მდინარე შოლას ნაპირდამცავი კედლის მშენებლობის სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს

პროექტი მნიშვნელოვან პრევენციულ ღონისძიებას წარმოადგენს შესაძლო კატასტროფების რისკის მართვის მიმართულებით.

ნაპირდამცავი კედლის მშენებლობის სამუშაოების ღირებულება 499390 ლარია.

მდინარე შოლა, რომელიც მცირე მდინარეების კატეგორიას მიეკუთვნება, ხშირი წვიმების დროს მართლაც მრისხანე სტიქიად იქცევა ხოლმე და ბევრჯერ შეუქმნია პრობლემა ხაშურისთვის. მისი ნაპირების გამაგრება და ბეტონის საფარში მოქცევა კი, იმედია, საბოლოოდ დასრულებს ნებისმიერ მისგან გამოწვეულ საშიშროებას.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების საყურადღებოდ!



„საქართველოს საარჩევნო კოდექსის" და ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების (2012 წლის 15 აგვისტო) შესაბამისად, 24 ოქტომბრის ჩათვლით, წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისათვის, გაზეთში „ხაშურის მოამბე" გამოყოფილია ფართობი. კერძოდ: ფასიანი

რეკლამისათვის გაზეთის მე-4 გვერდი (988 კვ.სმ), უფასო რეკლამისათვის კი გაზეთის მე-5 გვერდის ნახევარი (494 კვ.სმ.).

ფასიანი რეკლამის შემთხვევაში, ერთი კვადრატული სანტიმეტრის

ღირებულება შეადგენს 20 თეთრს (ერთი გვერდი - 197 ლარი და 60

თეთრი).

A3 და A4 ფორმატის ჩანართის შემთხვევაში (თუ ჩანართი გამზადებული სახით მოაქვს დამკვეთს და რედაქცია მხოლოდ ქსელში გავრცელების ვალდებულებას კისრულობს) კვადრატული სანტიმეტრის ფასია 15 თეთრი, ანუ A3 ფორმატის შემთხვევაში - 148 ლარი და 20 თეთრი, A4 ფორმატის შემთხვევაში - 74 ლარი და 10 თეთრი.

ახალი სასწავლო წლის დაწყება თითქოს ბუნებამაც მიულოცა ქვიშხეთს და ასეთი ულამაზესი ცისარტყელა გამოისახა სოფლის თავზე. ა. სუთიაშვილის ფოტო

ცხადდება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ერთობლივი ხატვის კონკურსი „ხაშური საქართველოს გულია"

კონკურსი განხორციელდება ხაშურქალაქობის დღესასწაულთან დაკავშირებით.

კონკურსის მიზნებია: ხელოვნების სფეროში უნარ-ჩვევების გაძლიერება, შემოქმედებითი აქტივობის მხარდაჭერა; ხაშურქალაქობის დღესასწაულის გამრავალფეროვნება და ხელოვნებით დაინტერესებული ადამიანური რესურსის წარმოჩენა.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებს კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეს მე-6-მე-12 კლასის ასაკობრივი კატეგორიიდან

კონკურსანტს აღნიშნულ კონკურსში შეუძლია მხოლოდ ერთი ნახატის წარმოდგენა, ხოლო ნახატი წარმოდგენილი უნდა იყოს არანაკლებ A3 ფორმატით, ფანქრით, გუაშით, აკვარელით ან ბუნებრივი მასალებით შესრულებული;

ნამუშევრებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური; ფინალური ეტაპისთვის შეირჩევა 20 საუკეთესო ნახატი, რომელიც გამოიფინება ხაშურქალაქობის დღესასწაულზე. ხაშურქალაქობის დღესასწაულზე წარმოდგენილი 20 ნამუშევრიდან, კომპეტენტური ჟიურის მიერ გამოვლინდება 3 საუკეთესო ნამუშევრის ავტორი.(„საპრიზო ადგილის მფლობელი" თითოეული საპრიზო ადგილის მფლობელი დასაჩუქრდება ფასიანი საჩუქრით და დიპლომით, ასევე, ხატვის კონკურსის თითოეულ მონაწილეს, გადაეცემა დიპლომი მონაწილეობისთვის.

კონკურსის ფარგლებში ნახატები მიიღება 2024 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურში. მისამართი: ქ.ხაშური, ტაბიძის ქ. N2, მე-2 სართული.

დაგვიანებით მიღებული ნახატები, საკონკურსოდ არ განიხილება/

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით:

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი გაერთიანება

0368 24 03 87

ხაშურის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური

0368 24 24 56

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.